წარმოების ფაქტორების ბაზრები და ფაქტორული შემოსავლების განაწილების ინსტიტუციური ასპექტები

შორენა ხალვაში
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ეკონომიკის საბაზრო სისტემა არის ურთიერთდაკავშირებული, ურთიერთდამოკიდებული, სუბორდინირებული ბაზრების სისტემა, სადაც თითოეული ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციას და მათ შორის წამყვანი ადგილი უჭირავთ წარმოების ფაქტორების ბაზრებს. სწორედ ამ ბაზრებზე ხდება მწარმოებელთა მიერ საქონლის და მომსახურეობის წარმოებისათვის აუცილებელი რესურსების შეძენა. თუ საკითხს შევხედავთ ინსტიტუციურ ჭრილში, წარმოების ფაქტორებს ჰყავთ წარმოების ფაქტორების მფლობელები, რომელთაც ეკონომიკურთან ერთად აქვთ ინსტიტუციური მოთხოვნები და ინტერესები, რომლებიც არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ფაქტორების კვლავწარმოების პროცესში და ზემოქმედებენ ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაზე. წარმოების ფაქტორების მფლობელების ეკონომიკური ინტერესების სრული რეალიზაცია გულისხმობს ფაქტორებიდან სრულფასოვანი შემოსავლების მიღებას. როდესაც ხდება რომელიმე ფაქტორზე ფასის ზედმეტად მატება რაც საბაზრო წონასწორობით არის გამოწვეული, ეს იწვევს ფაქტორების მფლობელთა ეკონომიკური ინტერესებს შორის წინააღმდეგობების გაღრმავებას, რაც ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ასეთი გავლენების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ფაქტორული შემოსავლების დაბალანსებული, წონასწორული საბაზრო გადანაწილების ინსტიტუციონალიზება და შესაბამისი ეკონომიკური ინტერესების კომპრომისული რეალიზების სისტემის შექმნა.

საკვანძო სიტყვები: კაპიტალი, შრომა, მიწა, ფინანსური ბაზარი, სასაქონლო ბაზარი, ინსტიტუციური ინტერესები, ეკონომიკური ინტერესები, წარმოების ფაქტორები.

RESUME

The market economy is an interconnected, interdependent, subordinated market system, where each performs a definite function, including the leading factor of the production factors. In these markets, producers buy the necessary resources to produce goods and services. If we look at the problem in an institutional context, then the owners of factors of production have institutional requirements and interests that are no less important in the process of reproduction of factors and affect economic development in general. Full realization of the economic interests of owners of production factors assumes to receive the full benefit from these factors.When the price increases too much on one of the factors, which is connected with market equilibrium, this leads to a deepening contradiction of the economic interests of factor`s owners. in turn, this negatively affects the economic development of the country. In order to avoid such an impact, institutionalization of a balanced, fair market distribution of factor incomes and the creation of a compromise system for the realization of relevant economic interests is necessary.

Keywords: capital, labor, land, institutional interests, Economic interests, factors of production.

* * * *

წარმოების ფაქტორების (მიწა, შრომა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარი) ბაზრები ეს არის ბაზრები, სადაც კომპანიები იძენენ წარმოებისათვის აუცილებელ რესურსებს. შრომის, კაპიტალისა და მიწის ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შესაბამისი რესურსის გასხვისება-განაწილებას, გამოყენებასა და მფლობელისთვის საკუთრების უფლების დაკანონებას. ინვესტორთა მხრიდან ფინანსური რესურსების მიწოდება ხდება კაპიტალის ბაზრისთვის, შრომის ბაზარზე მიწოდების უზრუნველყოფა ხდება დაქირავებული მუშახელის მიერ, მიწის რესურსები გამოტანილია მიწის ბაზარზე.

კაპიტალის ბაზარი უზრუნველყოფს ფულადი საშუალებების თავმოყრას და გადანაწილებას, ძირითადი კაპიტალის მოძრაობას, მოგების მაქსიმიზაციას და ეროვნულ ეკონომიკაში საჭირო პროპორციების შეარჩუნებას. გამოიყოფა კაპიტალის ბაზრის სამი მსხვილი სეგმენტი: 1. კაპიტალური აქტივების ბაზარი, სადაც იყიდება საწარმოოს ძირითადი ფონდები; 2. კაპიტალის მომსახურების ბაზარი, სადაც შესაძლებელია საწარმოოს ძირითადი ფონდების იჯარით გაცემა; 3. სესხების ბაზარი (გაცემა-აღება). ნეოკლასიკური თეორიის თანახმად, წონასწორობა კაპიტალის ბაზარზე მიიღწევა მაშინ, როდესაც კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობა იმ ზღვრული დანახარჯების ტოლია, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალის მფლობელის მიერ დროის მოცემულ მონაკვეთში მის გამოყენებაზე უარის თქმასთან. კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობის შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს წმინდა მიმდინარე ღირებულება, რომელიც არის ყველა მოსალოდნელი შემოსავლის დისკონტირებული ღირებულების და დისკონტირებული დანახარჯის სხვაობა. როდესაც მიღებული შედეგი

არის დადებითი, მაშინ კაპიტალდაბანდება მიზანშეწონილად ითვლება. ასევე გამოიყენება მომავალი შემოსავლების დღევანდელ ღირებულებასთან მისადაგება ალტერნატიული ღირებულების გათვალისწინებით. „დღევანდელი ფული“ ყოველთვის უფრო ძვირია „მომავალ ფულზე“. ეს გამოწვეულია არა მარტო ინფლაციით, არამედ კაპიტალდაბანდებიდან შემოსავლის მიღების შესაძლებლობით. ასევე კაპიტალდაბანდებების შეფასება ხდება პროცენტის საბაზრო განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც არის კაპიტალიდან (გასესხებული თანხიდან) მიღებული შემოსავლების შეფარდება გასესხებულ თანხასთან (პროცენტებში გამოხატული).

შრომის ბაზარი არის შრომით მომსახურებასთან დაკავშირებული ყიდვა-გაყიდვის ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა. მსოფლიო პრაქტიკაში შრომის ბაზარმა განიცადა უდიდესი ტრანსფორმაცია. ის იცვლებოდა და იხვეწებოდა ქაოტური, არაორგანიზებული ფორმებიდან საზოგადოებრივი ურთიერთობების რთულ, მრავალმხრივ სისტემებამდე. თანამედროვე ცივილიზებული შრომის ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი დამყარებულია იმ ნორმატიულ და საკანონმდებლო აქტებზე, რომლითაც ხელმძღვანელობენ საწარმოთა ხელმძღვანელები და დასაქმებულები. შრომითი მომსახურების გამყიდველების (დაქირავებული მუშახელის) რაოდენობა წარმოადგენს მოსახლეობის უმრავლესობას და მათი სოციალური მდგომარეობა პირდაპირ აისახება ქვეყნის სოციალურ სტაბილურობაზე. თანამედროვე შრომის ბაზარი არ ფუნქციონირებს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში და წონასწორობაც მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება სახელმწიფოს ჩარევის შედეგად. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უმუშევართათვის შემწეობის არსებობა გავლენას ახდენს შრომის მიწოდების პირობებზე. ასევე, განვითარებულ ქვეყნებში საკანონმდებლო დონეზე დაწესებულია და მკაცრად კონტროლდება ხელფასის მინიმალური ზღვარი, რაც ხელს უშლის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების თავისუფალ რეგულირებას.

მიწის ბაზარი. ეკონომიკური ანალიზის დროს მიწის გამოყენება პირველად მოხდა ფიზიოკრატების მიერ. მათი აზრით, მიწა იყო ერთადერთი საწარმოო რესურსი, ხოლო მიწათმოქმედის შრომა - საზოგადოებრივი სიმდიდრის საფუძველი. მიწის ფლობა გულისხმობს ფიზიკური თუ იურიდიული პირის უფლების აღიარებას მიწის ნაკვეთის კონკრეტულ მონაკვეთზე სამართლებრივად დადგენილ საფუძვლებზე დაყრდნობით. მიწის მიწოდების თავისებურებას მისი არაელასტიურობა წარმოადგენს. მიწის ბაზარზე მისი მიწოდების კიდევ ერთი თვისებურება არის ის, რომ წარმოების სხვა ფაქტორების - შრომის და კაპიტალისგან განსხვავებით, მისი რაოდენობა ფიქსირებული და შეზღუდულია, შეუძლებელია მისი კვლავწარმოება და გაზრდა გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად. მიწის რენტის ოდენობის დადგენაც სწორედ მისი შეზღუდულობის გათვალისწინებით ხდება. მიწის რესურსების მეორე თავისებურება მათი უძრავი ხასიათიდან გამომდინარეობს. მიწის მფლობელებს არ შეუძლიათ საკუთარი სურვილისამებრ შეცვალონ მისი მდებარეობა. მესამე თავისებურება კი ის გახლავთ, რომ მიწა არის ბუნებრივი ფაქტორი და არა ადამიანის შრომის შედეგი. მიწის მიწოდება აბსოლუტურად არაელასტიურია ფასებზე რეაგირების კუთხით. რადგანაც მიწის რაოდენობა შეზღუდულია, ფასმა როგორც არ უნდა მოიმატოს, მიწოდების გაზრდა შეუძლებელია. თუმცა რენტის ზედმეტად მაღალი დონის პირობებში ხდება მიწაზე მოთხოვნის შემცირება.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი მეწარმე თუ წარმოების ფაქტორის მფლობელი დაინტერესებულია მიიღოს მაქსიმალური მოგება. ამ მიზნისკენ სწრაფვისას, ანუ მოგების მაქსიმიზაციის მიზნით წარმოების ფაქტორების მფლობელების, ანუ საწარმოების და კომპანიების მხრიდან შესაძლებელია საზოგადოებისთვის არაეფექტური ინსტიტუტების შექმნა. ამ დროს წარმოიქმნება ინსტიტუციური ინტერესების წინააღმდეგობრივი სისტემა. სამეურნეო ინსტიტუტების არაეფექტიანობა იწვევს არაფორმალური ინსტიტუტების წარმოშობას, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიან ფორმალურ ინსტიტუტებთან. წარმოების ფაქტორების მფლობელთა ინტერესების მრავალმხრივობა ერთიანდება და პრობლემა გვარდება ეფექტიანი, სამართლიანი ინსტიტუტების არსებობით, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების ფაქტორთა მფლობელების ინტერესების დაცვას და მათ მიერ სამართლიანი და სრულფასოვანი შემოსავლების მიღებას.

ინსტიტუციური ფაქტორის გათვალისწინებით შემოსავლების განაწილებაზე პირველად დაწერა ჯ. მილმა . მილი წერდა: „კერძო საკუთრების პირობებში პროდუქციის გადანაწილება განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორის გათვალისწინებით, ესენია კონკურენცია და ჩვეულება. კონკურენცია უზრუნველყოფს წარმოების ფაქტორებს შორის შემოსავლების ფუნქციონალურ გადანაწილებას. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კონკურენციის მოქმედება შეზღუდულია მონოპოლიებით და სახელმწიფო რეგულირებით, ეს მაინც არ ცვლის მნიშვნელოვნად გადანაწილებების პროპორციებს და ჯ.ს. მილის აზრით არ ღირს ამის გამო შემოსავლების განაწილების ფუნქციონალურ თეორიაზე უარის თქმა. ამ თეორიის თანახმად, გადანაწილების პროცესი არის იმ წილის, რაოდენობის და პროპორციის განსაზღვრა, რომელიც მოდის პროდუქციის შექმნაში თითოეული მეურნე სუბიექტზე, საზოგადოების თითოეულ წევრზე ან წარმოების ფაქტორზე. მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ან ეროვნული შემოსავლის გადანაწილება წარმოების ფაქტორებს შორის (შრომა, კაპიტალი, მიწა) არის ფუნქციური გადანა-

წილება, ანუ მიღებული შემოსვლის ტიპების მიხედვით გადანაწილება. (განასხვავებენ გადანაწილების სოციალურ და ეკონომიკურ ფუნქციებს). ასევე, ის აღნიშნავს, რომ ხშირ შემთხვევაში შეუზღუდავი კონკურენციის პირობებშიც გადანაწილება ხდება არა კონკურენციის უშუალო ზეგავენით, არამედ ჩვევების და ჩვეულების გათვალისწინებით. ასეთ დროს კონკურენცია ან არ ხდება, ან ვლინდება სახეშეცვლილი ფორმით, რადგან მასზე ზემოქმედებას ახდენს სოციალური ფაქტორებიც.

ფაქტორული შემოსავლების განაწილების მეორე ფორმა არის განაწილების ინსტიტუციური თეორია, რომელიც ფუნქციონალურისგან იმით განსხვავდება, რომ ის განიხილავს არა წარმოების ფაქტორებს შორის ზღვრული შემოსავლების გადანაწილებას, როცა წარმოების თითოეულ ფაქტორს წილად ხვდება თავისი ზღვრული პროდუქტის შესაბამისი შემოსავალი, არამედ ინსტიტუციონალიზებულ (ინსტიტუტებით განპირობებული) გადანაწილებას. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ფაქტორებიდან მიღებული შემოსავლების სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით გადანაწილებას. მათ შორის განსხვავება იმაშიც გამოიხატება, რომ კლასიკური და ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიების ამოსავალი წერტილი არის ის, რომ ეკონომიკაში საკუთრების ყველა უფლება უკვე განაწილებულია, ამიტომ რესურსების თავდაპირველი განაწილება უმნიშვნელოა და ის არ ახდენს გავლენას ეკონომიკური სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირებაზე. პრინციპში, ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების ფაქტორებზე საკუთრების უფლებების თავდაპირველი განაწილება და მისი გავლენა ამ ფაქტორების მწარმოებლურობაზე საერთოდ არ განიხილება კლასიკური და ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიების მიერ. სტაბილური ეკონომიკის პირობებში ასეთი მიდგომა მისაღები იქნებოდა, მაგრამ ტრანსფორმირებადი, სწრაფად ცვალებადი პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვანია როგორც პირველადი, ისე შემდგომი განაწილება. ამასთან, საკუთრების უფლების ინსტიტუციურად გამყარება (მათ შორის წარმოების ფაქტორებზე) დიდ ზეგავლენას ახდენს ფაქტორული შემოსავლების განაწილებაზე.

შემოსავლების განაწილება შედგება სამი ნაწილისგან: შემოსავლების ფუნქციური განაწილება, რომელიც მაშინ არის შესაძლებელი, როცა არსებობს წარმოების ფაქტორების ბაზრები, სადაც ხდება ფასების დადგენა. მეორე ნაწილი გულისხმობს შემოსავლების სოციალურ გადანაწილებას. ეს კი გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას საბაზრო ურთიერთობებში საგადასახადო და ტრანსფერტული მექანიზმების ამოქმედებით ტრანსაქციების განხორციელების და ინსტიტუტების ეფექტიანობის ამაღლების გზით. მესამე ნაწილი არსებობს ნებისმიერი სოციალ-ეკონომიკური სისტემის პირობებში და გულისხმობს ოპორტუნისტული ქცევებით განპირობებულ ფაქტორული შემოსავლების განაწილებას განსაკუთრებული ეკონომიკური და ინსტიტუციური ინტერესების მქონე ჯგუფებს და ეკონომიკურ აგენტებს შორის. ეს უკანასკნელი დამახასიათებელია სუსტი, ნაკლებად განვითარებული ინსტიტუტების მქონე ქვეყნებისთვის, რომლებშიც სახელმწიფო ძალაუფლება საკუთრების ინსტიტუტებზე ბევრად ძლიერია. კერძო საკუთრების არასათანადოდ დაცვის პირობებში კი ფაქტორული შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე რთულია საუბარიც კი.

განვიხილოთ თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლიათ ქვეყანაში არსებულ ინსტიტუტებს ფაქტორული შემოსავლების განაწილების სტიმულების და მექანიზმების ფორმირების პროცესზე. კომპანიები და ორგანიზაციები მოგების მაქსიმიზაციის მიზნით ქმნიან საკუთარ, არაფორმალურ კომუნიკაციის საშუალებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში იხვეწება და ხდება მათი სტრატეგიული კულტურულ-ღირებულებითი არჩევანი ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური შეზღუდვების ფარგლებში. ასეთი ქმედებები ეფუძნება ინვესტირებას ცოდნაში, უნარებში, რომლებიც მოგების მაქსიმიზაციისკენ არიან მიმართული. მოგების მაქსიმიზაციის მეორე გზაა - რესურსების ჩადება არსებული ინსტიტუტების თავის სასარგებლოდ შეცვლაში. ასეთი ფუფუნების უფლება მხოლოდ უმსხვილეს კომპანიებს აქვთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ინვესტირება ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების კუთხით, ხდება ორგანიზაციის მიერ, რაც თავის მხრივ, გავლენას ახდენს ფასებზე. ამ დროს მთავარი პრობლემა არის ის, თუ რამდენად არის თანხვედრაში საზოგადოების ინტერესებთან კონკრეტული კომპანიის ინტერესები. თუ ეს ცვლილებები ან ახალი ინსტიტუტების შექმნა მიმართულია ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებისკენ, მაშინ ასეთი ინსტიტუტები არის ეფექტიანი. იმ შემთხვევაში თუ ისინი ემსახურებიან მხოლოდ კონკრეტული კომპანიას ან კონკრეტულ სოციალურ ინტერესებს და თავს მოხვეული არიან საზოგადოებისთვის გარედან, ასეთ შემთხვევაში საზოგადოების მხრიდან იზრდება მიუღებლობა ასეთი ინსტიტუტის მიმართ და მისი შენახვის ხარჯებიც მატულობს. იმ შემთხვევაში, როცა ინსტიტუციური ცვლილებები საზოგადოების ინტერსებთან თანხვედრაშია, ეს აძლევს ორგანიზაციებს და წარმოების ფაქტორების მფლობელებს მოგების გაზრდის ახალ შესაძლებლობებს. ამ შემთხვევაში კონკურენცია ხდება უფრო სრულყოფილი და ეფექტიანი ინსტიტუტი. ის მოტივაციას აძლევს მეწარმეებს და კომპანიების თანამშრომლებს ჩადონ ინვესტიციები ცოდნის და უნარების განვითარებაში. აქედან გამომდინარე, სწორედ ინსტიტუციური სისტემა ასტიმულირებს ეკონომიკურ აგენტებს და წარმოების ამა თუ იმ ფაქტორზე მოთხოვნის გაზრდას.

ამრიგად, ინსტიტუციური თვალსაზრისით წა-

რმოების ფაქტორების შემოსავლიანობა დიდწილად განისაზღვრება ეკონომიკური და ინსტიტუციური ინსტრუმენტების არსებობით. ასევე, ფაქტორული შემოსავლების განაწილებაზე არანაკლებ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების ფაქტორთა მფლობელების ხელში არსებული ზემოქმედების მექანიზმები. მათი ინტერესების მრავალმხრივობის კოორდინირება ხდება განვითარებული ინსტიტუციური სისტემის მეშვეობით. ასეთი სისტემა გულისხმობს საკუთრების უფლების დაცვას, შემოსავლების მიღების და დამოუკიდებლად განკარგვის შესაძლებლობას. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სოციალურ-ეკონომიკური სისტემა განიცდის მუდმივად ცვლილებებს, მოძრაობს და შესაბამისად, იცვლება ძალთა ბალანსიც. ხდება ისე, რომ გარკვეული, კონკრეტული სახის წარმოების ფაქტორების მფლობელები აღმოჩნდებიან უფრო მომგებიან სიტუაციაში წარმოების სხვა ფაქტორების მფლობელებთან შედარებით. ეს თავისთავად აისახება შემოსავლების გადანაწილებაზეც და საბოლოოდ გამოდის, რომ ისინი, ვინც აღმოჩნდნენ არამომგებიან სიტუაციაში კარგავენ შემოსავლებს და მათი შემოსავლები გადადის იმ დროისათვის დომინანტი და უპირატესი წარმოების ფაქტორების მფლობელების ხელში. ასეთ დროს დგება ინსტიტუციური სისტემის ცვლილებების დრო. საჭირო ხდება ფაქტორული შემოსავლების მეტ-ნაკლებად გათანაბრება. ასეთი ცვლილებები შესაძლოა განხორციელდეს „ზემოდან", სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული შეზღუდვების დაწესების ან ახალი კანონების შემოღების გზით. ამავე დროს არც „ქვემოთ" არიან გულხელდაკრეფილები და შესაძლოა წარმოების ფაქტორების მფლობელებს შორის შედგეს არაფორმალური გარიგებები. ასეთი ქმედებები მოსალოდნელია მაშინ როცა სახელმწიფო „აგვიანებს" მოთხოვნილი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელებას ფაქტორული შემოსავლების განაწილების და გადანაწილების სფეროში. ამასთან, სახელმწიფოს შეუძლია როგორც ეფექტიანი საბაზრო ინსტიტუტების ფორმირება, ისე პირიქით, შექმნას ისეთი არაეფექტიანი ინსტიტუციური სისტემა, რომელიც ხელს შეუშლის კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას და არ მისცემს საშუალებას ეკონომიკურ აგენტებს ისარგებლონ კონკურენციის უპირატესობებით. ასეთ შემთხვევაში იქმნება მონოპოლიური სისტემა, რომელიც გაზრდის ეკონომიკურ და ტრანსაქციულ დანახარჯებს. სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს კონკრეტულ მომენტში როგორი ინსტიტუციური რეგულაცია გამოიყენოს. ინსტიტუციური პირობების მნიშვნელოვანი და არსებითი ცვლილებები ეკონომიკური აგენტების რთული ეკონომიკური და ინსტიტუციური ურთიერთქმედებასთან ერთად სათავეს უდებს ახალი, ინოვაციური პროცესების განვითარებას. რას ნიშნავს ეს ყოველივე? ეს არის პროცესი, რომელიც გულისხმობს ინდუსტრიული ეკონომიკისთვის დამახასიათებელი წარმოების ფაქტორების ტრანსფორმაციას პოსტინდუსტრიული საზოგადოების კვლავწარმოებად ფაქტორებად. საბოლოოდ, ხდება არა მარტო წარმოების ფაქტორების განვითარება, არამედ მათი როლის შესამჩნევი გადანაწილება კვლავწარმოების პროცესში. თანამედროვე საზოგადოებაში, თანამედროვე პირობებში ჩამოყალიბებულია პოსტინდუსტრიული წარმოების მეთოდი, რომელიც დიდწილად არის დამყარებული ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე. ამ მეთოდისთვის დამახასიათებელია წარმოების ფაქტორების და მათი მფლობელების ინტერესების ახალი სტრუქტურა როგორც ფაქტორული შემოსავლების განაწილების, ისე ინსტიტუციურ სფეროში. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ჩნდება ეკონომიკური და ინსტიტუციური ინტერესების რეალიზაციის ახალი ფორმა. ეს გამოიხატება პირველ რიგში წარმოების ე.წ. „ტრადიციული" ფაქტორების გვერდით წარმოების ახალი, ინფორმაციული ფაქტორის დამატებით. ეს ახალი ფაქტორი კი არის ცოდნა. ინფორმაციის და ცოდნის კომბინაცია ზრდის წარმოების ყველა ფაქტორის ეფექტიანობას. ის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც აგრარული, ისე ინდუსტრიული სფეროსთვის და წარმოების ფაქტორთა მფლობელებისთვისაც.

პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ცოდნა თანდათან წარმოების დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ფაქტორი ხდება. ცოდნის შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებული საქმიანობა საწარმოო საქმიანობის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს. ჩამოყალიბდა ახალი ფენა, დამოუკიდებელი ეკონომიკური და ინსტიტუციური ინტერესების მქონე, რომელიც უნდა რეალიზდეს განსაკუთრებული ფაქტორული შემოსავლის - ცოდნის საფასურის სახით. დღესდღეობით აღნიშნული შემოსავალი ცალკე არ არის გამოყოფილი, არ აქვს დამოუკიდებელი ინსტიტუციური ფორმა და გაიცემა ხელფასის სახით. ცოდნის გარდაქმნა წარმოების დამოუკიდებელ ფაქტორად მნიშვნელოვნად გაზრდის ადამიანური კაპიტალის როლს. ადამიანური კაპიტალის მფლობელების ეკონომიკური და ინსტიტუციური ინტერესების რეალიზაცია ხდება ფაქტორული შემოსავლების მიღების პროცესში. ადამიანური კაპიტალის ქვეშ იგულისხმება არა იმდენად ადამიანის შესაძლებლობები (ფიზიკური, ბუნებრივი, შეძენილი, დაგროვილი), არამედ ის საავანსო ღირებულება, კაპიტალი რომლის ჩადებაც ხდება მისი შესაძლებლობების განვითარებაში. შესაძლებლობებს მოაქვთ შემოსავალი მათი მფლობელებისთვის. ეს შემოსავალი ამ შესაძლებობების განვითარებისთვის ჩადებული კაპიტალის პროპორციული უნდა იყოს. ამასთან, ადამიანური კაპიტალი დაკავშირებულია არა მარტო შრომით, სამეწარმეო, მმართველობით საქმიანობასთან, არამედ ადამიანის სხვა ცხოვრებისეულ საქმიანობასთანაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ინვესტი-

ცია რომელიც იდება ადამიანის განსხვავებულ, განსაკუთრებულ შესაძლებლობებში. ეს არის ადამიანური კაპიტალი უფრო ფართო გაგებით - რომელიც ქმნის მის „სულიერ კაპიტალს". ამასთან ადამიანურ კაპიტალს უნდა ფლობდნენ არა მარტო სამუშაო ძალის, ცოდნის და სამეწარმეო უნარის მფლობელები, არამედ ისეთი წარმოების ფაქტორების ის მფლობელებიც, რომლებიც ფლობენ მიწას და კაპიტალს. წარმოების ფაქტორების მფლობელთა სწავლაში და განათლებაში ინვესტიციის ჩადება ზრდის მათი გამოყენებით მიღებული შემოსავლების რაოდენობას, რაც მათ ეფექტიან გამოყენებას უზრუნველყოფს.

საქართველოში პოსტინდუსტრიული საზოგადოების აშენება, მისი მსოფლიო გლობალური ეკონომიკის სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება და ინტეგრაცია შესაძლებელია პირველ რიგში ცოდნის მფლობელთა ეკონომიკური და ინსტიტუციური ინტერესების გათვალისწინებით, მათი შემოსავლების ინსტიტუციონალიზებით. აუცილებელია წარმოების ფაქტორების ურთიერთქმედებაში წარმოების ფაქტორად „ცოდნის" დანერგვა. მნიშვნელოვანია ქვეყანაში შეიქმნას ხელსაყრელი ინსტიტუციური გარემო, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს დაინტერესებული კვალიფიციური ცოდნის მიღებით და მისი სრულფასოვნად გამოყენებით. თანამედროვე სამყაროში ეკონომიკური განვითარება განუყოფლად არის დაკავშირებული ცოდნასთან და ინფორმაციასთან, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მოცემული ფაქტორის როლის მზარდ აუცილებლობას.

ჩვენს ქვეყანაში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა წარმოების ფაქტორების განაწილებისა და გამოყენების ინსტიტუციური რეგულირების, მიწის, შრომისა და კაპიტალის ბაზრების ეფექტიან ფუნქციონირებაში საბაზრო ინსტიტუტების როლის ამაღლების, საფინანსო და სასაქონლო ბაზრებზე არსებული სიტუაციის გაუმჯობესებისა და მათი განვითარებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების მიზნით. იქმნება სამომავლო მოქმედების სტრატეგიები, ხდება ქართული კანონმდებლობის მაქსიმალურად მისადაგება ევროკავშირის მოთხოვნებთან. ხდება შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესება, საფინანსო ბაზარზე ახალი რეგულაციების შემოღება, რომელიც კონკურენციის გაზრდას უწყობს ხელს. ყოველივე ეს კი ქმნის მყარ მოლოდინს, რომ ცვლილებები ეფექტიანი აღმოჩნდება და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ходжсон Д. Экономическая теория и институты: Манифест современной

институциональной экономической теории: Пер. с англ. – М.: Дело, 2003;

2. Милль Дж. С. Основы политической экономии. – М.: Прогресс, 1980, ث. 1;

3. История теории факторов производства, Сторчевой М.А. http://ecsocman.hse.ru/text/19033663 ;

4. Тумашев А.Р., Котенкова С.Н., Тумашева М.В. Экономическая теория. Часть I. Введение в экономическую теорию. Микроэкономика. (1-23გვ) https://kpfu.ru/docs/F1241829507/tema.7.pdf;

11. Институциональная теория факторов производства; https://studopedia.org/8-41579.html;

12. Шастико А.Е. Государство и экономический рост // Экономика. Высшие математические методы. 1996. Т. 32;

13. Классификация товарных рынков, https://utmagazine.ru/posts/9901-klassifikaciya-tovarnyh-rynkov;

14. Селезнев А.З. Конкурентные позиции и инфраструктура рынка России. – М.: Юристъ, 1999;